

მონაწილის ბიბლიოთეკა

საქართველოს
ბიბლიოთეკა

3

K 170664
3



სახილ ჟანაშვილი
საქართველოს
ბიბლიოთეკა

მონადირის ბიბლიოთეკა



პროზა ჟანრები

საქართველოს ჩემოსნები

K 170.664
3

სკიპ-2000
შემოწმებულია



გამომცემლობა «საბჭოთა საქართველო»
თბილისი-1977



ნაშრომში განხილულია საქართველოში გავრცელებული ჩლიქოსნების ბიოლოგია, არეალი, სამეურნეო მნიშვნელობა და მათი დაცვის ღონისძიებები.

ნაშრომი განკუთვნილია მონადირეებისათვის, ბუნების-მოყვარულებისათვის, სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის და იმათთვის, ვინც დაინტერესებულია ჩვენი ქვეყნის ძვირფასი ფაუნის დაცვითა და გამრავლებით.

რედაქტორი ნ. მგელიაშვილი

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თვალწარმტაცი და მრავალფეროვანია საქართველოს ბუნებაა, მისი ცამდე აზიდული გიგანტური მთები, უღრანი ტყეები, ნაირ-ნაირი ყვავილებით შემკული და მოქარგული ველ-მინდვრები, ბობოქარი მდინარეები, მრავალი ტბა და ტბორი.

ასეთ ნაირფეროვან ბუნებას ცხოველთა სამყაროს მრავალგვარობაც ახასიათებს. საქართველოში ბევრნაირი ნადირი, ფრინველი და თევზი ბინადრობს, რომელიც სახალხო მეურნეობაში უმნიშვნელოდ, ან სულაც არ არის გამოყენებული. იმის გამო, რომ ჩვენი სასარგებლო და სარეწაო ფაუნის რესურსები დღემდე ჯეროვნად არ არის აღრიცხული და შესწავლილი, ხშირად ნადირობის ნებას რთავენ ისეთ ცხოველებზე, რომლებიც ბუნებაში ნაკლებად გვხვდებიან, ასევე ითქმის უწყსრიგო თევზაობის შესახებაც.

მათი სიმცირის გამო უნდა აიკრძალოს (ლიცენზიითა და სამეცნიერო მიზნითაც კი) ისეთ ცხოველებზე ნადირობა, როგორცაა ირემი, შველი, ჯიხვი, ნიამორი, არჩვი და სხვ.

ჩვენი აზრით, ნადირობის ლიცენზიები უნდა მიეცეთ მხოლოდ იმ მონადირეთა საზოგადოებებსა და მონადირეებს, რომლებმაც წლების განმავლობაში გარკვეული წვლილი შეიტანეს ფაუნის დაცვისა და მომრავლების საქმეში.

ჩვენი სახელოვანი მგოსანი, ბუნების უბადლო მომღერალი ვაჟა-ფშაველა გამოდიოდა რა ბუნების დამცველთა მედროშედ, წუხდა ბუნების გაჩანაგება-განადგურების გამო და წერდა:

„გულს მიკლავს მთების დაჩაგვრა,
ესა მაჭვს საწუხარია.“

მართლაც, „საწუნარია“ მთის ბუნების „დაჩაგვრა“ განადგურება და ამასთან ერთად ძვირფასი ფაუნის მოსპობა.

საჭიროა საგანგებო ყურადღება მიექცეს მთას, რადგან სწორედ აქ მოიპოვება ჩვენი ფაუნის ძვირფასი წარმომადგენლები, ჩვენი რესპუბლიკის მთების დამამშვენებლები — ჯიხვი, ნიამორი, არჩვი და სხვანი.

მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ და გულისყურით მოვეკიდოთ ჩვენი ბუნების სიმდიდრეს — ძვირფას ფაუნას, გულმოდგინედ დავიცვათ და ხელი შევუწყოთ მის მომრავლებასა და ფართოდ განსახლებას, რათა შემდგომში შესაძლებელი გახდეს მისი სამეურნეო მიზნით გამოყენება.

ბუნებრივია, სარეწაო ცხოველთა გეგმაზომიერი დამზადება და რაციონალური გამოყენება ნაწილობრივ დააკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას ცხოველურ პროდუქტებზე.

ჩვენი რესპუბლიკის ჩლიქოსნები, რომელთაგან ზოგი სახეობა მხოლოდ კავკასიაში გვხვდება, ძვირფასი წარმომადგენელია იმ მრავალფეროვანი ფაუნისა, რომელიც ამშვენებს საქართველოს მთასა და ბარს, ტყეებსა და ველებს, რომელთა დაცვა ყოველი საბჭოთა მოქალაქის, პირველ რიგში კი მონადირეთა საპატიო მოვალეობაა.

გარეული ღორი

ქართულ ენაზე ღორს ნაირგვარი სახელი გააჩნია: მამალ ღორს ჰქვია ტახი, ეშვი; დედალს — ნეზვი, ქუბი; ნორჩ ნაშიერს — გოჭი, ცოტა უფრო მოზრდილს (სამი თვიდან ერთ წლამდე) — ბურვაკი, ნაზარდა, თელი; სასუქად შენახულს — ქოსმენი; დაუკოდავ ღორს — კერატი, კერეტი. ღორს აქვს აგრეთვე მოფერიბითი სახელიც.

გარეული ღორი საშუალო ზომის ჩლიქოსანი ცხოველია. მისთვის დამახასიათებელია მკვრივკუნთოვანი სხეული, მძლავრი და შედარებით მოკლე ფეხები, კისერი მოკლე და ძლიერ გამსხვილებული. ამიტომაცაა, რომ მას თავის მიბრუნ-მოზრუნება არ შეუძლია. თავი წაგრძელებული ფორმისა აქვს და ქმნის დინგს. ეს უკანასკნელი მთავრდება ზრტილოვანი წარმონაქმნით — ნიკველით, რომელზედაც იხსნება ნესტოები. გარეული ღორის საერთო სიგრძე 160—205 სანტიმეტრამდეა, აქედან კუდი 20—30 სანტიმეტრია; სიმაღლე მინდაოში 80—120 სანტიმეტრამდე აღწევს, წონა — 100—120 კილოგრამამდე. ლიტერატურაში ცნობილია ეგზემპლარები, რომელთა წონა 270—400 კილოგრამი ყოფილა. სადღეისოდ ასეთი გიგანტები საქართველოში აღარ გვხვდება. ნეზვის ზომა-წონა ტახთან შედარებით ბევრად ნაკლებია. გარეულ ღორს, განსაკუთრებით კი ტახს, ძლიერ აქვს განვითარებული ეშვები, რომლებიც მისი თავდაცვის ძირითადი იარაღია. ეშვები ღორს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეზრდება და შესაბამისად უცვდება.

მეტწილად გარეული ღორის შეფერადება ერთგვაროვანია — მოშავო, შავი, ან მურა-მოშავო, ზოგი ეგზემპლარი მურა-მორუხოა. ამ ცხოველის შეფერადება მნიშვნელოვნად იცვლება სეზონურად.

საქართველოს ფარგლებში გარეული ღორი საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული, თუმცა ლანდშაფტების მნიშვნელოვნად შეცვლისა და დაუზოგველი ნადირობის შედეგად მრავალ ადგილას მოსპობილია. იგი გვხვდება კავკასიონის ქედის სამ-



სურ. 1. გარეული ღორი.

ხრეთ კალთების ტყეებში, განსაკუთრებით კი ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონების სავარგულებში. საკმაო რაოდენობით მოიპოვება გარეული ღორი თრიალეთის ქედის სამხრეთ კალთებზე, გარდაბნის მახლობელ მტკვრისპირა ტალღებში; გარეული ღორის რამდენიმე ათეული ევზემბლარი შემორჩენილია ვაშლოვნის ნაკრძალში, ჟარალაჯის მახლობელ ტყის პატარა კორმში (წითელწყაროს რაიონი). აქა-იქაა იგი გავრცელებული არაგვის ხეობაში, ავრეთვე თებმისა და ძამას ხეობებში (კასპის რაიონი), ადიგენის, ახალციხისა და ასპინძის რაიონებში. გარეული ღორი ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვება აფხაზეთში, კერძოდ გუმიბთის, ბუიფისა და კოდორის ხეობებში. მცირე რაოდენობით ბინადრობს იგი გურია-აზარის ქედის ტყეებში; ძველი მკვლელობების გადმოცემით, ბათუმის მისადგურებსა და მის მახლობელ ყველა მთაზე, რომლებიც კი უღრანი ტყით ყოფილა დაფარული, გარეული ღორი დიდი რაოდენობით მოიპოვებოდა. ცხადია, ამისი თქმა სადღეისოდ ამ ადგილების მი-



მართ აღარ შეიძლება. გვხვდება იგი აგრეთვე შუახვევისა და ქედის რაიონებშიც. გარეული ღორი მცირე რაოდენობით ნადრობს იმნათის მიწერილ მეურნეობაში, მუხათგაჭრილის, შავი ტყის, ლესას მიდამოებში (ლანჩხუთის რაიონი), ჭალადიდის სამონადირეო მეურნეობაში, პალიასტომის ტბის მისადევრებში.

საქართველოს ბევრ ადგილას უკანასკნელ 60—70 წლის განმავლობაში გარეული ღორი გაწყვეტილია. კერძოდ, ეს ეხება თელავის, ქუთაისისა და მაზარაძის რაიონებს, ატენის ხეობას, ჭიაურის ტყის (ლაგოდეხის რაიონი) უმეტეს ნაწილს და სხვ.

გარეული ღორი საქართველოს ფარგლებს გარეთ გავრცელებულია სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში, უნგრეთში, სამხრეთ უკრაინაში, აზერბაიჯანში, სომხეთში, დაღესტანში, ჩრდილოეთ კავკასიაში, მცირე, წინა და შუა აზიაში, სამხრეთ ციმბირში, ამურის მხარეში, ჩრდილო ირანში, ჩრდილო აფრიკაში.

ვერტიკალურად გარეული ღორი აღწევს 2600 მეტრამდე ზღვის დონიდან. არეალის ფარგლებში იგი ზოგ ადგილას 4000 მეტრამდეც კი ვრცელდება.

გარეული ღორის ტიპობრივ საბინადროს წარმოადგენს ტყეები, ჭალები, ბუნჩნარები, მაცულის ბარდები, ჩალიანები. საერთოდ იგი ეტანება მიუხაღა და გაუვალ ადგილებს. აღსანიშნავია, რომ ასეთ სავარგულებში თავშეფარებული ღორების დაფრთხობა, თუნდაც დაგეშილი ძაღლებითა და თოფის სროლით, არცთუ ადვილი საქმეა. ზოგიერთი მკვლევარი მოგვითხრობს, რომ ხშირად ღორების მთელი კოლტები წვანან მიუხაღ თავშესაფარში და მათი გამოდევნა არ ხერხდება არავითარი საშუალებით, გარდა კოლტის შუაგულში თოფის სროლისა. ეს კი, ცხადია, მიზანშეწონილი არ არის, რადგან ასეთი ადგილიდან დაჭრილი, მით უმეტეს მოალული ღორის გამოტანა ხშირად შეუძლებელი ხდება და, ამგვარად, „ნანადირევი“ ტურების, მგლებისა და სხვა მტაცებელთა სათარეშოდ ხდება. იმავე აეტორთა თქმით, მეძებრებსაც არ შეუძლიათ იქ მისვლა, მით უმეტეს მონადირეებს. ღმურის, ყირილი ასეთ შემთხვევაში ღორებზე სრულიადაც არ მოწმედება. ისინი შეიარაღებული აღამიანისაგან რამდენიმე ნაბიჯით დაშორებულნი თავს სრუ-

ლიად უშიშრად გრძნობენ. გარეული ღორი საცხოვრებლად მი-
რითადად ჭაობიან ადგილებსა და წყალსატევების მახლობლად
ბინადდება. წყალი მისი საარსებო გარემოსათვის აუცილებელი
პირობაა. საყურადღებოა, რომ ზოგან გარეული ღორი ადამიან-
ის მახლობლად — ბაღებში, ყანებში დაისადგურებს ხოლმე.

გარეული ღორი კოლტების სახით ცხოვრობს, რომლებშიც
გაერთიანებულია რამდენიმე ნეზვი თავიანთი ნაშიერებითურთ.
ტახი ჩვეულებრივ განმარტოებით ბინადრობს და ნეზვებთან
მხოლოდ ხურაობის დროს გაერთევა ხოლმე. ამ დროს ერთ ტახ-
თან სამი-ოთხი ნეზვი იყრის თავს. ასეთ კოლტებში ინდივიდ-
თა რაოდენობა 15—20-მდე აღწევს ხოლმე, მაგრამ ლიტერა-
ტურაში ცნობილია ისეთი კოლტები, რომლებშიც ასამდე ღო-
რი ყოფილა გაერთიანებული.

საკვებს გარეული ღორი არ არჩევს: იგი ყველაფრის
მჭამელი ცხოველია. იკვებება როგორც მცენარეულობით, ისე
ცხოველებით. ჭამს მცენარეთა ნაყოფს, ხილს, კენკრას, რკოს,
წიწიბოს, წაბლს, კაკალს, თხილს, აგრეთვე მწერებსა და მათ
მატლებს, ლოკოკინებსა და სხვა სახეობის უხერხემლო ცხო-
ველებს, ზოგჯერ მიწაზე კრუსად მჯდომ ფრინველებს,
მათ კვერცხებსა და მართევებს, თავისებურ მღრღნელებს, იშ-
ვიათად ბაჭიებსაც, ზოგჯერ გველებსა და ხვლიკებსაც.

რივ ადგილებში გარეული ღორი მნიშვნელოვნად აზიანებს
ბრინჯის, ფეტვისა და სიმინდის ყანებს, ზოგან თხილის ბა-
ღებს და სხვ.

მრავლდება გარეული ღორი წელიწადში ერთხელ. ხურაობა
მიმდინარეობს ნოემბერ-იანვარში. მაკეობა გრძელდება
110—140 დღემდე. შობს 2—10 გოჭს, იშვიათად მეტს. დაკვირ-
ვებიდან ჩანს, რომ ახალგაზრდა ნეზვები უფრო მცირე რაო-
დენობის გოჭებს შობენ, ვიდრე ხანდაზმულები. გოჭს პირვე-
ლი თვეების განმავლობაში სხეულზე გასწერივი ნათელი ზო-
ლები ემჩნევა, რომლებიც მის ზრდასთან ერთად ქრება. ახალ-
შობილი გოჭები პირველი 7—8 დღის განმავლობაში, სანამ
რამდენადმე მოლონიერდებიან და მარჯვედ სიარულს შესძლე-
ვენ, ბუნაგში რჩებიან. გოჭები სწრაფად იზრდებიან. 8—9
თვის ბურჯაკის წონა საშუალოდ 40 კილოგრამამდე აღწევს.
ტახი სქესობრივად მწიფდება 15—18 თვის ასაკში, ხოლო



სრულ ზრდას ამთავრებს 4 წლისა. ნუზვი სქესობრივად მწიფდება რამდენადმე უფრო ადრე, ვიდრე ტახი.

საქართველოში მოზინადრე სანადირო-სარეწაო ქოსნებს შორის გარეულ ღორს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. გამოიყენება მისი ხორცი, ცხიმი, ტყავი და ჯავარი.

საყურადღებოა, რომ გარეული ღორი ანადგურებს მრავალ მავნე მწერსა და მათ მატლებს, რითაც სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი სარგებლობა მოაქვს. მაგალითად, ცნობილია, რომ ეს ცხოველი მაისის ხოჭოს რაოდენობას 30—40% ამცირებს. ასევე ითქმის ზოგიერთი სხვა სახეობის მავნე მწერის შესახებაც.

აღსანიშნავია, რომ გარეული ღორი ჩიჩქნის ნიადაგს და ამით ერთგვარად ხელს უწყობს ხემცენარეთა „თესვასა“ და აღდგენას.

შესაძლებელია გარეული ღორი მოშინაურებულ და გამოყენებულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო ცხოველის სახით. სასურველია ჩატარდეს შინაურ ჯიშებთან ჰიბრიდიზაცია, უკანასკნელთა გაუმჯობესების მიზნით.

გარეულ ღორს ერთგვარი ზიანი მოაქვს სახალხო მეურნეობისათვის მარცვლოვანი და ბოსტნეული კულტურების დაზიანებით. რიგ ადგილებში ანადგურებს ხემცენარეთა ნორჩ ამონაყარსა და ნერგებს, სიმინდის, ბრინჯისა და ფეტვის ყანებს, თხილის ბაღებსა და სხვ.

ბუნებრივი მტრები გარეულ ღორს, შეიძლება ითქვას, თითქმის არა ჰყავს. საქართველოს ფარგლებში ნორჩ გოჭებს, ზოგჯერ ბურგაკებსა და დაავადებულ ნუზვებს თავს ესხმის მგელი, ფოცხვერი, დათვი, ტურა, გარეული კატა, ხოლო წარსულში მათ გლეჯდა ჯიქიც. განმარტოებით მცხოვრებ ტახზე თავდასხმას ჯერ ზედავს არა მარტო მგელი და ფოცხვერი, არამედ ხანდაზმული დათვიც კი. ცნობილია არა ერთი შემთხვევა, როდესაც პირისპირ შეტაკებისას ტახს გამოოფარაჟს დათვი.

აქვე აღინიშნავთ, რომ გარეული ღორი წარმოადგენს ჩვენებური შინაური ღორის წინაპარს.

ამჟამად გარეულ ღორზე ნადირობა შეზღუდულია, ამის შედეგად მისმა რაოდენობამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად იმატა. განსაკუთრებით ეს ითქმის ლავოდუნის ნაკრძალის,

სიღნაღის სამონადირეო მეურნეობის, აფხაზეთის მრავალი სა-
ვარგულის, გარდაბნის, ლანჩხუთის, ცხაკაიასა და სხვა მრავალ-
ნების შესახებ.



0 6 2 0

ჩვენი ტყეების მშენებას წარმოადგენს ირემი. ტყის ცხოველებს შორის სიღამაზით ირემს ბადალი არა ჰყავს. ამ მშენებას აძლიერებს მისი მოგრძო თავი ფართო და შავი თვალებით. ხოლო ხარირენს ეშსა და ლაჯათს მატებს მრავალშტოიანი გრძელი და მძლავრი რქები, რომლებიც ფურირემს არ უფითარდება.

ირემი საქართველოში გავრცელებულ ჩლიქოსნებს შორის ყველაზე დიდი ზომისაა. მისთვის დამახასიათებელია მძლავრი აგებულების სხეული, რომელიც უკანა ნახევარში უფრო მეტი მასიურობით გამოირჩევა, ზომიერად წაგრძელებული და წვეროში მოზღაგეებული დინგი, გრძელი, განიერი და რამდენადმე სამკუთხოვანი ყურები, რომელთა სიგრძე თავის საერთო სიგრძის ნახევარზე ნაკლებია. წინა კიდურები, უკანასთან შედარებით, სუსტი და გამონაკვთულია, ნატიფი ჩლიქები წაგრძელებული, წინა ნაწილში წაწვეტებული და ერთიმეორეზე მჭიდროდაა მიჯრილი. კუდი მოკლე, მაგრამ ბალნიანი საფარვლიდან მკაფიოდ მოჩანს. დამახასიათებელია საკმაოდ მძლავრი კისერი, რომელიც ხარირემს, ფურირემთან შედარებით, უფრო მსხვილძარღვიანი აქვს.

რქები ცხოველის ასაკისა და ჯანმრთელობის მიხედვით მეტად ცვალებადია. გრძელი და მრავალშტოიანი რქების მქონე ირემს ხშირად „ქორბუდას“ ან „რქაბუდიანს“ უწოდებენ. რქაზე შტოთა რაოდენობა შეიძლება იყოს 2—12, ზოგჯერ მეტიც. შტოთა რაოდენობა დამოკიდებულია ირმის ასაკზე: ახალგაზრდებს აქვთ ნაკლებშტოიანი, ხოლო ხანდაზმულებს — მრავალშტოიანი რქა.

ხალხში შემორჩენილია რწმენა, თითქოს ირმის რქის შტოთა რაოდენობა ცხოველის ასაკს შეესაბამებოდეს, ე. ი. იგი იმდენი წლისაა, რამდენი შტოც აქვს რქებზე, რაც არ არის



მართალი. ზოგჯერ ახალგაზრდა ირემს (6—7 წლის ასაკში) რქებზე უფრო მეტი რაოდენობის შტო უფითარდება, ხანდაზმულს (10—12 წლისას). ზოგჯერ მარჯვენა და მარცხენა რქაზე შტოთა რაოდენობა განსხვავებულია ხოლმე.

ირმის ორივე რქის წონა აღწევს 3—8 კილოგრამს. ლიტერატურაში ცნობილია რქების წყვილი, რომელთა წონა 18 კილოგრამს აღემატებოდა.



სურ. 2. ირემი.

რქის სიგრძე მერყეობს ცხოველის ასაკის შესაბამისად. ყველაზე გრძელი და მძლავრი რქები ირემს აქვს 6—12 წლის ასაკში. რქების სიგრძე მერყეობს 90—120 სანტიმეტრამდე.



ირემს რქები ყოველწლიურად ადრე გაზაფხულზე (მეტწი-
 ლად მარტში) სცვივა. ჩვეულებრივ ერთი რქის ჩამოვარდნის
 რამდენიმე საათის შემდეგ ვარდება მეორე რქაც, მაგრამ ზოგ-
 ჯერ მეორე რქა პირველის ჩამოვარდნის 1—2 (იშვიათად
 3—5) დღის შემდეგ ვარდება. რიგ შემთხვევებში ორივე რქა
 ცხოველს ერთდროულად სცვივა. ახალი რქის ამოსვლა იწყება
 ძველი რქის ჩამოვარდნისთანავე. მისი ზრდა-განვითარება
 მთავრდება სამ თვეში. დასაწყისში ნორჩი რქები დაფარულია
 ნაზი ბალნით შემოსილი ტყავით, რომელიც შემდეგში ძვრება
 და რჩება მხოლოდ ძელოვანი წარმონაქმნი. ახალგაზრდა ირემს
 პირველად რქები ამოსდის 9—10 თვის ასაკში და იგი ჩვეუ-
 ლებრივ პატარა შუბს ჰგავს. ასეთ რქას ხალხი „ჭოტას“ უწო-
 დებს. ირემს დატოტილი რქები უვითარდება 20—22 თვის
 ასაკიდან.

ხარირმის სხეულის სიგრძე 180-230 სანტიმეტრამდეა, ხო-
 ლო სიმაღლე მინდაოში — 120—150 სანტიმეტრამდე. მისი წო-
 ნა აღწევს 200—300 კილოგრამამდე, თუმცა ლიტერატურაში
 ცნობილია გაცილებით უფრო მძიმე წონის ეგზემპლარებიც.
 ფურირემი შედარებით უფრო ნაკლები ზომა-წონისაა.

საქართველოში ირმის არეალი, წარსულთან შედარებით,
 მეტად შემცირებულია. ჩვენ აღვნიშნავთ მისი გავრცელების
 მხოლოდ ძირითად კერებს. ირემი მოიპოვება ლაგოდეხის რაი-
 ონში, სადაც გვხვდება როგორც კავკასიონის ფერდობის, ისე
 კახეთის ლეშამბიან ტყეებში. ყველაზე მეტი რაოდენობით კი
 იგი ბინადრობს ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალში. ერთეუ-
 ლი ეგზემპლარები აღნიშნულია ყვარლის რაიონში. ირემი
 გვხვდება აჭა-იქ ცივ-გომბორის ქედზე, იალნოს ქედის ტყე-
 ებში, საგურამოს ნაკრძალში, არაგვის ხეობაში (დოლას ქედ-
 სა და ჭართალის მისადევრებში, დავათისა და ჭოპორტის სა-
 ვარგულებში), ქსნის ხეობაში. 1937 წელს ერთი ირემი მოპო-
 ვებულია სოფ. ზერტასთან (გორის რაიონი), რომელიც შემ-
 დეგ დიდ ხანს ცხოვრობდა თბილისის ზოოპარკში. ირემი საკ-
 მაოდ მრავლად გვხვდება ბორჯომის ხეობაში, კერძოდ, სახელ-
 მწიფო ნაკრძალის ფარგლებში. ეს ცხოველი ერთეული ეგზემ-
 პლარების სახით ბინადრობს ადიგენის, ახალციხისა და ასპინ-
 ძის რაიონებში, თრიალეთის ქედზე (თეთრი წყაროს რაიონ-



ში), მცირე რაოდენობით მოიპოვება გარდაბნის რაიონის მტკვრისპირა ჭალაში. ერთეულების სახით ირემი გვხვდება არის სახელმწიფო ნაკრძალში. იგი იშვიათადაა საირმის მხოლოდ (მაიაკოვსკის რაიონი). ამ სამოციოდე წლის წინათ ერთი ხარირემი მოუკლავთ ოსურგეთის (ახლანდელი მახარაძე) მახლობლად. ამ ადგილს ამჟამად „მოდი ნახე“ ქვია. ეს კი იმის გამო დაურწმევიათ, რომ იმ არემარეში მანამდე ეს ცხოველი არავის ენახა. ირმის მოკვლისას კი ხალხს მოუწოდეს „მოდი ნახეთ“ რა მოუკლავთო! საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ირმის არეალი წარსულთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულია, რაშიც, პირველ რიგში, დანაშაული მიუძღვით ბრაკონიერებს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ კულტურული ლანდშაფტების ზრდამ მნიშვნელოვნად შეამცირა ამ ცხოველის არეალი.

საქართველოს ფარგლებს გარეთ ირემი გვხვდება აზერბაიჯანში, სომხეთში, დაღესტანში, ჩრდილო ოსეთში, ყაზახეთში, ჩერქეზეთში, ბალყარეთში; დაცულია კავკასიის სახელმწიფო ნაკრძალში, აგრეთვე ტებერდის ტყეებში. ირემი მოიპოვება აგრეთვე მცირე აზიაში, ჩრდილო თურქეთსა და ჩრდილო ირანში (გეოგრაფიული გავრცელება მოცემულია მხოლოდ კავკასიური ირმისა).

ვერტიკალურად ირემი ვრცელდება 3100 მეტრამდე ზღვის დონიდან.

ირემი ტიპობრივი ტყის ბინადარია. იგი ჩვეულებრივ უღრანსა და გაუფალ ტყეებში ცხოვრობს. ტყეში არსებულ ველობებში ან ახოებში გამოდის იშვიათად, უმეტესად კი ღამით. ისეთ ადგილებში, სადაც ირემს მოსახლეობა არ დევნის, მას შესაძლებელია შეეხვდეთ ტყისპირა ველებზე, ახოებსა და სხვა მსგავს სავარგულებში. ირემს განსაკუთრებით უყვარს მთის ტყეები, რომლებიც ხეობებითაა დახრამული და დასერილი, სადაც წყალი მიედინება, ტბა ან ტბორი მოიპოვება. ტყეების გარეშე ირემი არ ბინადრობს. მაგრამ შესაძლებელია გზააბნეულსა და დამფრთხალ ირემს წავაწყდეთ ტყისპირას, ვენახში, ზოგჯერ ველზეც. ალბათ ასეთი შემთხვევის გამოა ნათქვამი ძველებური ხალხური ლექსი:



წყალი ირმის საყვარელ სტიქიას წარმოადგენს. იგი წყალში ბანაობს და საუცხოოდ დაცურავს. ეს ცხოველი ხშირად წყალში საათობით ჩერდება და წინა ფეხებით წყალს მუცელზე იშნაფებს. ზაფხულის ცხელ ამინდში ირემი ტალახში წვება და ითხუანება, რითაც მომაბეზრებელ მწერებს თავიდან იცილებს.

ძირითადად ირემი ბალახით იკვებება. ჭაბს აგრეთვე ფოთოლს, ბოსტნეულს, ხილს, ზოგჯერ გვიმრას, ხის ქერქს, ყლორტებს, რკოს, წიწიბოს და სხვ. ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის პირობებში დაადგინეს, რომ ირემი საკვებად იყენებს 40-ზე მეტი სახეობის მცენარეს.

გამრავლების პერიოდი ირმის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოვლენაა. იგი იწყება ხურაობით (ატეხილობით), რასაც თან სდევს ირმის „მყვირალობა“, და ჩვეულებრივ ხეტქემბრიდან დეკემბრამდე გრძელდება. რიგ შემთხვევაში მყვირალობა შეიძლება დაიწყოს აგვისტოს მეორე ნახევარში და გაგრძელდეს თებერვლამდე. მაგრამ ყველაზე ინტენსიური და მასობრივი მყვირალობა ოქტომბერსა და ნოემბრის პირველ ნახევარში მიმდინარეობს, ძირითადად მაკეობაც ამ დროს ხდება.

მყვირალობის დროს მოჭიშვე ხარირმებს შორის იმართება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. დამარცხებული (ხშირად მიძიმედ დაჭრილი და დასახინჩრებული) ხარირემი ტოვებს ბრძოლის ველს და სხვაგან გარბის. ასეთი ჩხუბის დროს ირმებს ხშირად რქები ემტვრევათ, ზოგჯერ ისინი ხრამში გადაიჩხებებიან ხოლმე და იღუპებიან, ხშირ შემთხვევაში ერთი მეორეს კლავს.

მყვირალობის დროს ხარირემი გამოდის ტყეში არსებულ ველობზე და სმამალა „ყვირის“. ამ ყვირილზე მისკენ მიემართებიან ფურირიმები. მაგრამ ამავე ადვილას ზოგჯერ გამოდის მეორე ხარირემიც. აი, სწორედ მაშინ იმართება მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ორივენი მიექანებიან ერთმეორისაკენ და რქებით ეჯახებიან. ასე რქებგადაბმულნი, ერთხანს რჩებიან თითქმის გაუნძრევლად, შემდეგ ძიძგილაობენ.

ხან შორდებიან, ხან ისევ ეტაკებიან ერთიმეორეს. თითოეული მათგანი ცდილობს გვერდიდან მოუაროს მეტოქეს და რქები გაკრას. მაგრამ ორივე სიფრთხილეს იჩენს. ზოგჯერ თავგამეტებით დაძვერებისას ორივე მიწაზე ეცემა. სწრაფად ისევ ზეზე დგებიან და ჩხუბს განაგრძობენ. ხშირად ისინი ყალყზე დგებიან და რქებით ეჯახებიან ერთიმეორეს. ბოლოს ერთ-ერთი მოქიშბეს გვერდიდან მოექცევა და რქებს ატაკებს ფერდში. ხშირ შემთხვევაში ეს უკანასკნელი მიწაზე ვარდება. მაშინ მისი აღსასრულიც დგება: თავდანსხმელი რამდენჯერმე ჩასცემს რქებს და ჭრილობამიყენებული მალე კვდება. მაგრამ გამარჯვებული ამით არ კმაყოფილდება. იგი რამდენიმე ნაბიჯს გაირბენს, ისევ უკანვე ბრუნდება და თავის მსხვერპლს კიდევ ჩასცემს რქებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე მკვდარია.

ირმის მაკეობა გრძელდება 8 თვემდე. იგი შობს ერთ ბოჩიკს, რომლის სხეული პირველ ხანებში (7—8 თვის განმავლობაში) დაფარულია უწესრიგოდ გაბნეული თეთრი ხალებით. შემდეგში ეს ხალები ქრება, თუმცა გაზაფხულის განვურისას ცნოველს ბარკლებზე უმნიშვნელოდ გამოხატული ხალიანობა მაინც შეენიშნება.

საკმაოდ სწრაფად იზრდება ირმის ბოჩიკი. 10—15 დღის ასაკში იგი იწყებს ბალახის, ფოთლებისა და ნორჩი ყლორტების ჭამას. დედის რძით იკვებება 4,5—5 თვის განმავლობაში. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს ხარირემი 2,5 წლის ასაკში, ხოლო ფურირემი — რამდენადმე უფრო ადრე. ირემი ცოცხლობს 25 წლამდე.

ირემი ჩვენი ფაუნის ძვირფასი სანადირო-სარეწაო ობიექტია. გამოიყენება მისი ხორცი, ტყავი, რქები და სხვ. ირმის ტყავისაგან ამზადებენ ზამშს (თუმცა დაბალი ხარისხისას) და ნატს. რქებისაგან აკეთებენ დანისა და ყავარჯნის ტარებს, სუვენირებსა და სხვ. თმისაგან კერავენ მალალხარისხოვან უნაგირის ბალიშებს და სხვ.

ამჟამად ირემზე ნადირობა აკრძალულია ყველგან. ამის შედეგად მისმა რაოდენობამ, წარსულთან შედარებით, მნიშვნელოვნად იმატა, განსაკუთრებით კი ლავოდეხის, საჯურამოსა და ბორჯომის ნაკრძალებში. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს,



რომ ირმის საერთო რაოდენობა ჯერ კიდევ არ არის იმ დონემდე მიღწეული, რომ მასზე ნადირობა, თუნდაც გეგმით და სასტიკი კონტროლითაც კი ნებადართულ იქნეს. ამასთან დაკავშირებით ჩვენ არასწორად მიგვაჩნია ლიცენზიით ნადირობის ნებადართვის გაცემა, თუნდაც მისი სამეცნიერო მიზნით გამოსაყენებლად.

შ ვ ე ლ ი

საქართველოს ტყეებისა და ჭალების ერთ-ერთი დამამშვენებელია შველი. იგი საქართველოში დიდი სიყვარულით სარგებლობს. მის შესახებ თქმულა ბევრი ლეგენდა და ზღაპარი, ანდაზა და გამოცანა, დაწერილია მრავალი მოთხრობა და ლექსი. ვის არ წაუკითხავს ჩვენი დიდებული მგოსნის ვაჟა-ფშაველას მოთხრობა „შვლის ნუკრის ნაამბობი“.

შვლისათვის დამახასიათებელია ლამაზი და მოხდენილი აგებულების სხეული. მის ოდნავ შვეულ თავს ამშვენებს ფართო და შავი თვალები. თვალის გუგა ოდნავ ირიბი, ჩლიქები პრიალა შავი ფერისა აქვს. ასეთივე შეფერილობისაა დინგის წვერიც. კუდი მოკლე და ბალნიან საფარველშია ჩამალული. წინა ფეხები უკანაზე მოკლე აქვს. ამიტომაცაა, რომ მოძრაობისას წინა კიდურები გამართული, ხოლო უკანა მოღუნული აქვს. ამის გამო ცხოველის ზურგი შესამჩნევად ჩაზნექილია.

ვაცი შველი შემკულია ლამაზი და ზემოთ აღმართული 25—30 სანტიმეტრი სიგრძის რქებით. თითოეულ რქაზე ორი ან სამი შტოა. მაგრამ ცნობილია, იშვიათად რქები დედალ შველსაც ამოსდის.

რქები შველს, ისევე როგორც ირმისებრთა ოჯახის სხვა წარმომადგენლებს, ყოველწლიურად სცვივა და მათ ადგილზე ახალი უვითარდება. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდები რქებს იცვლიან ოქტომბერში, ხანდაზმულები — ნოემბერში, ხოლო იმავე წლის ნუკრები — დეკემბერში. შვლის ნუკრს რქები ამოსდის ოთხი თვის ასაკში. ისინი პატარა შუბებივითაა ამოყრილი. პირველ წელს რქები დატოტვილი არაა, ორი წლისას



ორკაპი რქები უვითარდება, ხოლო სამი წლისას უკვე სამშობლოდან იანი რქები აქვს.

შვლის სხეულის საერთო სიგრძე აღწევს 130 სანტიმეტრამდე, თუმცა უმეტესად უფრო მცირე ზომისა გვხვდება. სიმაღლე მინდაოში 70—75 სანტიმეტრამდეა. მისი წონა 16—20 კილოგრამამდე მერყეობს. მაგრამ ცნობილია ეგზემპლარები, რომელთა წონა 30 კილოგრამი ყოფილა. დედალი შვლის ზომა-წონა ვაცისაზე შესამჩნევად ნაკლებია.

სეზონის მიხედვით მნიშვნელოვნად იცვლება შვლის შეფერილობა. ზაფხულობით მისი სხეულის საერთო შეფერილობა ქარცისფერ-მურაა, ხოლო ზამთრობით — მორუხო-მოთეთრო. რიგ შემთხვევაში შესაძლებელია ადგილი პეონდეს შეფერილობის ინდივიდუურ სხვაობასაც. მაგალითად, ზოგჯერ ერთი და იგივე ოჯახის წარმომადგენლები ნაირგვარად არიან შეფერილი: მურა-მოშავო, შავი, მუქი ქარცისფერი ან თეთრი. თბილისის ზოობარკში დიდხანს ცხოვრობდა ერთი თეთრი შველი, რომელიც 1931 წელს მოპოვებული იყო ფოთის მიდამოებში.

შვლის ნუკრს 6—7 თვის ასაკამდე სხეულზე ემჩნევა სწორხაზოვნად განლაგებული თეთრი ხალები, რომლებიც მის ზრდასთან ერთად ქრება.

საქართველოს ფარგლებში შველი ფართოდაა გავრცელებული. იგი გვხვდება კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთებზე და მის განშტოებებზე, კახეთის ლეშამბიან ტყეებში, ცივ-გომბორის, ქართლ-იმერეთის, გურია-აჭარისა და თრიალეთის ქედებზე, ზედაზენ-საგურამოს, მარტყოფ-გლდანის მისადევრებში, ბორჯომის ხეობაში, ბაკურიანის მიდამოებში, ახალქალაქის, ასპინძის, ახალციხის, ადიგენის, წყალტუბოს, მიაკოვსკის, მახარაძის, თიანეთის, დუშეთის და ლანჩხუთის რაიონებში, აგრეთვე ჭალადიდის მიდამოებში. ფართოდაა გავრცელებული შველი აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთი ოსეთის სავარგულებში.

საქართველოს გარეშე შველი გავრცელებულია ევროპაში, ჩრდილო კავკასიაში, წინა, შუა და ცენტრალურ აზიაში, სამხრეთ ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, პალესტინაში, მესოპოტამიაში, ჩრდილო ირანში, სომხეთში, აზერბაიჯანში, დაღესტანში, ყაბარდო-ბალყარეთში.





სურ. 3. შველი.

ვერტიკალურად შველი ვრცელდება 2500 მეტრამდე ზღვის დონიდან.

შველი ტიპობრივი ტყის ბინადარია. ეტანება მეჩხერ ტყეებს, რომლებშიც ალაგ-ალაგ მოიპოვება მეტ-ნაკლები ზომის მინდორ-კორდები, ახლები, ველობები. ზოგჯერ ბინავდება ტყის სანაპირო ზოლში (მეტწილად მთის ტყეების ქვედა და ზედა ხაზთან). იშვიათად სცილდება ტყის ზონას და სამოვრად სუბალპურ მდელოებზე ადის, სადაც დიდხანს მაინც არ ჩერდება. შველი მეტწილად ისეთ ტყეებს ეტანება, რომლებიც დასერილი და დახრამულია ხეობებით, სადაც წყალი მიედინება. საერთოდ კი უღრანსა და გაუვალ ტყეებს შველი გაურბის.



შველი იკვებება ნაირგვარი მცენარეულობით. ჭამს ჭაღახუნულ
 ფოთლებს, ნორჩ ყლორტებს, ნეკერს, ხილს, კენკრას, რკოს, წიწვოვან
 წიბოს და სხვ.

მეტად საინტერესოა შვლის გამრავლება. მისი ზურაობა
 იწყება ივლისის დამლევებიდან და გრძელდება სექტემბრის პირ-
 ველ რიცხვებამდე. მაკეობა გრძელდება 9 თვემდე. საქართვე-
 ლოში ასალი თაობა იბადება აპრილში, ზოგჯერ მაისსა და ივ-
 ნისშიც კი. შველი მეტწილად შობს ორ ნუკრს, ზოგჯერ — სამს
 ან ოთხს, იშვიათად კი მხოლოდ ერთს. პირველი 6—8 დღის
 განმავლობაში ნუკრი მეტად უსუსურია, ფეხზე დგომა უჭირს,
 სიარული უძნელდება. ანტიტომაც ამ ხნის განმავლობაში იგი
 ერთსა და იმავე ადგილზე რჩება მიმალული. შემდეგ დედას
 დასაძევს ფეხდაფეხ და მალე მას სირბილშიც აღარ ჩა-
 მორჩება.

სქესობრივად შველი მწიფდება 2 (ზოგი ცნობით 3) წლის
 ასაკში. სრულ ზრდას ამთავრებს 3 წლისა. სიცოცხლის ხან-
 გრძლივობა აღწევს 10 (ზოგი ცნობით 15) წლამდე. ტყვეობის
 (ზოობარკისა და სხვ.) პირობებში შველი დიდხანს ვერ ცო-
 ცხლობს.

შველს ბევრი მტერი ჰყავს. მას ანადგურებს მგელი, ტურა,
 მელა, ფოცხვერი, გარეული კატა. ზოგჯერ ნუკრს თავს ესხმის
 და გლეჯს კვერნა, მაჩვი, არწივი, ზარნაშო და სხვ. მაგრამ
 შვლის ყველაზე დაუძინებელი მტერია ბრაკონიერი, რომელიც
 ყველგან და ყოველგვარი სერხით სპობს ამ ძვირფას ცხო-
 ველს.

ჩვენი ქვეყნის ძვირფას ცხოველთა შორის შველს მნიშვნე-
 ლოვანი ადგილი უკავია. გამოიყენება მისი ხორცი, ტყავი. ამ
 უკანასკნელისაგან ამზადებენ ფეხსაცმლის საპირეს, კერა-
 ვენ გულებს, ზოგჯერ მას გამოიყენებენ საფენად ან ბეწვე-
 ულის სახით. მისი ბალანისაგან კერავენ უნაგირის ბა-
 ლიშებს.

ამჟამად შველზე ნადირობა აკრძალულია და იგი დაცულია
 ყველგან. ამის შედეგად კი მისმა საერთო რაოდენობამ მრავალ
 ადგილას შესამჩნევად იმატა.

ჯიხვი კავკასიონის ნამდვილ მშენებლას წარმოადგენს. ვინ იცის რამდენ მონადირეს გული ასჩქროლებია ჯიხვის დანახვაზე და მოუსურვებია მისი მოკვლა-მოპოვება, მაგრამ ამაოდ დაღლილა მის უკან დევნით და შინ ხელცარიელი დაბრუნებულა.

რომელი ბუნებისმეტყველი არ დამტკბარა ვაცი ჯიხვის ცქერით, რომელიც საათობით გარინდული დგას ხოლმე სალ კლდეზე და სივრცეს გაპყურებს. ძნელი წარმოსადგენია ისეთი გულქვა მონადირე, რომელიც ასეთ დროს ჯიხვს გაიმეტებს მოსაკლავად.

ვინ მოთვლის რამდენი მოთხრობა, ლექსი და სიმღერა თქმულა ქართულ ხალხში ჯიხვის შესახებ, რომელზეც ადამიანი უხსოვარი დროიდან ნადირობს.

ჯიხვისათვის დამახასიათებელია საკმაოდ მკვრივკუნთოვანი და რამდენადმე წაგრძელებული სხეული. მას აქვს შეფარდებით დიდი ზომის თავი, მაღალი და მძლავრკუნთოვანი ფეხები, საკმაოდ განიერი ჩლიქები.

რქები დამახასიათებელია ორივე სქესისათვის. ვაცის რქის სიგრძე აღწევს 100—118 სანტიმეტრამდე, ხოლო ვარშემოწერილობა — 25—31 სანტიმეტრამდე. დედლის რქის სიგრძე 25—30 სანტიმეტრამდეა. ციკანს რქები ამოსდის 1,5—2 თვის ასაკში, ხოლო რქის სრული ზრდა მთავრდება 5—6 წლისთავზე.

ჯიხვის რქების შესახებ ბევრი ზღაპარია შეთხზული. თითქოს უფსკრულის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადახტომისას ჯიხვი კლდის ქიმზე რქებით ჩამოეკიდება ხოლმე, შემდეგ გაქანდება და გადახტება მეორე ნაპირზე. ან კიდევ, ჯიხვები კლდიდან დაცურებისას რქებს ეყრდნობიან და ისე მოცურავენო. ზოგნი იმასაც ამბობენ, რომ ჯიხვი ზემოდან ჩამოხტომისას თავით გადმოეშვება და რქებზე ეცემარო. სამწუხაროდ, ასეთი „ცნობა“ და ფანტასტიკა მოთხრობილია არა მარტო საბავშვო ლიტერატურაში, არამედ სამეცნიერო ნაშრომებშიც.

ჯიხვის სხეულის სიგრძე 130—135 სანტიმეტრამდე აღწევს, აქედან კული 13—17 სანტიმეტრია. ვაცი ჯიხვის წონა



80—95 კილოგრამია. დედალი ჯიხვის ზომა-წონა ბევრად უფრო ნაკლებია ვაცისაზე.

სხეულის შეფერილობა ნაკლებ განსხვავებულია სქესთა შორის, მაგრამ იგი ნაირგვარია სეზონისა და გავრცელების, აგრეთვე ზოგი ინდივიდის მიხედვით. ზამთრობით ჯიხვის ზურგის მხარე მუქი მურა ფერისაა, მუცლის მხარე მონაცრისფროა ან ზედ მონაცრისფრო ელფერი გადაჰკრავს. მკერდი და ბოჭვენნი მურაა. ზოგი ვეგზემლარის ზურგის მხარე მონაცრისფრო-მორუხია, ხოლო მუცლის მხარე — თეთრი. ზაფხულობით ჯიხვის შეფერილობა ქარცისფერ-მურაა ან შავი. როგორც ვაცს, ისე დედალს უფითარდება მოკლე წვერი.

ჯიხვი გავრცელებულია მხოლოდ კავკასიონის ქედზე და მსოფლიოში სხვაგან არსად გვხვდება. საქართველოში მოიპოვება მრავალ ადგილას. ყველაზე მეტი რაოდენობით ჯიხვი ბინადრობს ლაგოდეხის ნაკრძალში, აგრეთვე ყვარლის, ახმეტის, თიანეთის, დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებში, სამხრეთ ოსეთში, რაჭაში, სვანეთისა და აფხაზეთის კავკასიონის მონაკვეთებზე. ვერტიკალურად აღწევს 5500 მეტრამდე ზღვის დონიდან.

ძირითადად ჯიხვის საბინადროს წარმოადგენს ალბური და სუბალბური მდელოები. იგი არ ერიდება სალკლდოვან ადგილებში ყოფნასაც. თუმცა ასეთ ადგილებში მეტწილად იხიზნება ხოლმე მტაცებლებისა და აბეზარ მწერთაცან თავის დასაღწევად. რიგ ადგილებში ჯიხვი გვხვდება ტყეებშიც. ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი მეცნიერი ცდილობს დააჯგუფოს და ერთიმეორისაგან გამოყოს „ალბური“ და „ტყის“ ჯიხვები. სახესხვაობების სახით, რასაც მეცნიერული საფუძველი არა აქვს.

ისევე როგორც ალბური ზონის სხვა ცხოველებისათვის, ჯიხვებისთვისაც დამახასიათებელია დღელამური და სეზონური მიგრაციები. ჩვეულებრივ ეს ცხოველი დღის უმეტეს ნაწილს ალბურ ზონაში ატარებს, სადაც თავს აფარებს მოხერხებულსა და მყუდრო ადგილებში. დაბინდებისას იგი დაბლა ეშვება და სუბალბურ ზონაში ჩადის, აღწევს ტყის ზონის ზედა საზღვარს და აქედან კი ტყის სარტყელში იჭრება. არის შემთხვევები, როდესაც მთამალაღში დამფრთხალი ჯიხვი ტყის



ქვედა ზონაში ჩადის და შემდეგ სწრაფად ისევ ზევით აბრუნდება და თავის საბინადროს აფარებს თავს. დღელამური მცირე ციკლები უშეტესად გამოწვეულია საკვებისა და საძოვარი ადგილების მოძებნასთან დაკავშირებით. მაგრამ ხშირად ასეთ მიგრაციას ცხოველი ვწვევს აბეზარი მწერებისა და მტაცებელთა დევნისაგან თავის დასაღწევად. ამის გამო ჯიხვი გათენებისთანავე მიიწევს მთის მწვერვალისაკენ, ხოლო შებინდებისას ისევ უკან ბრუნდება. შემოდგომის დამლევს, მით უმეტეს ზამთარში, როდესაც ჯიხვის ადგილსამყოფელი — ალპური და სუბალპური მდელოები — ღრმა თოვლითაა დაფარული, იგი ტყეში ჩადის, სადაც საკვების მოპოვება შედარებით უფრო უადვილდება. ადრე გაზაფხულზე ტოვებს საზამთრო ადგილ-სამყოფელს და კვლავ თავის სტიქიას — მთამალაღს უბრუნდება.

ჯიხვს მეტად სწრაფი, მარჯვე და საკმაოდ გრძელი ნახტომები ახასიათებს. ვახუშტი წერდა, რომ ჯიხვი „ვალს კლდესა ზედა ქარაფსა და მალაღსა, რომელსა ზედა ვერარაჲ ცხოველი შემძლებელ არს განსვლად“. მართლაც, ციცაბო და საღ კლდეებზე გაბედულად მოძრაობაში კავკასიონის მთის ცხოველებს შორის ჯიხვს ბადალი არა ჰყავს.

იკვებება ჯიხვი ნაირგვარი მცენარეულობით. უკანასკნელი წლების გამოკვლევების მიხედვით ჯიხვის საკვების რაციონში 60-მდე სახეობის მცენარე შედის. ჭამს იგი აგრეთვე ხის ქერქს, წიწვებს, ზოგჯერ წიწიბოს, რკოს, კენკრას, ხილსა და სხვ.

ჯიხვის საკვების შემადგენლობაში მარილი აუცილებელი კომპონენტია. ამიტომაც იგი ეტანება ხოლმე ისეთ ადვილებს, სადაც მარილის ბუნებრივი საბადოებია. იქ, სადაც ჯიხვს იცავენ და მეთვალყურეობას უწივენ, სპეციალურ სამარილებს აკეთებენ.

სექტიმბრის დამლევებიდან თებერვლის შუა რიცხვებამდე მიმდინარეობს ჯიხვის ატეხილობა. მაკეობის ხანგრძლიობა აღწევს 5 თვემდე. ჯიხვი შობს ერთ ციკანს, თუმცა ლიტერატურაში არის მითითებანი, რომ ეს ცხოველი ხშირად ტყუპს შობსო. აქვე აღვნიშნავ, რომ თბილისის ზოოპარკში ჯიხვის მრავალი თაობაა მიღებული, მაგრამ არც ერთი ტყუპიანობის შემთხვევა არ ყოფილა აღნიშნული. როგორც ჩანს, ეს მოვლენა



სურ. 4. აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვი.

ბუნებაშიც დიდ იშვიათობას უნდა წარმოადგენდეს. მართლაც, ძნელი იქნებოდა დედა-ჯიხვისათვის ორი ციკნის მოვლა-პატრონობა მთამალაღის მკაცრ პირობებში.

ახლადშობილი ციკანი იწონის 3—4 კილოგრამს. იგი საკმაოდ სრულყოფილი იბადება. თბილისის ზოოპარკში ჩატარებული დაკვირვების მიხედვით, ჯიხვის ციკანი ერთი საათის ასაკში დედას უკან ცქვიტად დასდევდა და კუნტრუშობდა. სამი საათისა ადვილად ხტებოდა 120 სანტიმეტრის სიმაღლის ქოხის სასურავზე, ხოლო სამი-ოთხი დღის ციკნის დაჭერა ადამიანს ტყვეობის პირობებშიც კი უძნელდება. ციკანი საკმაოდ სწრაფად იზრდება. იგი 2,5 წლისა აღწევს სქესობრივ სიმწიფეს. თბილისის ზოოპარკში აღნიშნულია შემთხვევები, როდესაც 12—13 თვის ჯიხვებმა მოიმშობიარეს და ნორმალური ციკნები შობეს. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არის იშვიათი მოვლენა. ერთი წლის ჯიხვის წონა 25—30 კილოგრამს აღწევს.



სრულ ზრდას ეს ცხოველი ამთავრებს 6 წლის ასაკში. ცოცხლობს 13—14 წლამდე, თუმცა ლიტერატურაში ცნობილ შემთხვევებში, რომლებსაც 22 წლამდე უცოცხლიათ.

ჯიხვის დაუძინებელი მტრები არიან მგელი და დათვი, რომლებიც ალპურ ზონაში ადიან ხოლმე სარჩოს საძებრად. ტყეში მას თავს ესხმის ფოცხვერი. ციკნებს გლეჯს მთის არწივი, აგრეთვე ბატკანძერი (კრავიჭამია).

მიუხედავად იმისა, რომ ჯიხვი მთამალაღზე და მეტად მიუვალ ადგილებში ცხოვრობს და ბუნებრივი სტიქიით დაცულია, ბრაკონიერი მაინც აღწევს მის საბინადრომდე და ანადგურებს ამ ძვირფას ცხოველს.



სურ. 5. დასავლეთკავკასიური ჯიხვი.



ბუნების დიდი მომღერალი ვაჟა მოგვითხრობს, რომ თეთ-
ქოს ჩვენი მთების შვილები და სალი კლდეების ბინადარნი

„ჯიხვები არას ღარდობენ,
ჯაჭვი სცეკვ იმათ ციხეა.“

მაგრამ, სამწუხაროდ, ჯიხვების „ციხეც“ ხშირად შიგნიდან-
ვე ტყდება, ძველებური ქართული ანდაზისა არ იყოს, რად-
გან პირველ რიგში ჯიხვს ემტერება მისივე დასაცავად მოწო-
დებული „მონადირე“, რომელიც ხშირ შემთხვევაში ბრაკონი-
ერის როლში გამოდის და არა ბუნების ამ სიამაყის დამცვე-
ლად.

ჯიხვი ჩვენი ქვეყნის სანადირო-სარეწაო ფაუნის ძვირფა-
სი წარმომადგენელია. ახლო წარსულში ამ ცხოველის საერთო
რაოდენობა ძლიერ იყო შემცირებული. ჯერ კიდევ მიმდინარე
საუკუნის დასაწყისში გამოჩენილი ზოოლოგები და გამოცდილი
მონადირეები მოგვითხრობდნენ ჯიხვის ისეთი ფარების შესა-
ხებ, რომლებშიც ათასობით ეგზემპლარს ითვლიდნენ. ამჟამად
ჯიხვის ასეთი რიცხვმრავალი ფარები საოცნებოა.

სამწუხაროდ, ჯიხვის რაოდენობის შემცირებას ხელი შე-
უწყო დაუზოგველმა და უწესრიგო ნადირობამ, ბრაკონიერე-
ბის სიმრავლემ. უკანასკნელ ხანებში მიღებულა მეტად ქმე-
დითი ღონისძიებები ჯიხვის დასაცავად, რამაც შესამჩნევი და-
დებითი შედეგი გამოიღო. ამჟამად ჯიხვის საერთო რაოდენო-
ბამ საგრძნობლად იმატა, განსაკუთრებით კი ეს ითქმის ნა-
კრძალების მიმართ. ზოგიერთი ცნობით ლაგოდეხის ნაკრძალ-
ში 6000-მდე ჯიხვი ბინადრობს. ეს ციფრი შესაძლებელია
მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია, მაგრამ ლაგოდეხის ნა-
კრძალში ჯიხვების რაოდენობა მაინც დიდია. არანაკლებ მრავ-
ლად მოიპოვება ჯიხვი ყაზბეგის რაიონში, რაქის, სვანეთისა
და აფხაზეთის მთებშიც. ზოგან, მაგალითად, აფხაზეთში, სვა-
ნეთში, ყაზბეგის რაიონში, ლაგოდეხის ნაკრძალში და სხვ.,
გვხვდება ჯიხვის ფარები, რომლებშიც 500—600 ეგზემპლარია
გაერთიანებული.

მიუხედავად ამისა, საქართველოს ტერიტორიაზე ჯიხვების
რაოდენობა ჯერ კიდევ არ არის ისეთ დონემდე ასული, რომ

შესაძლებელი გახდეს მასზე ნადირობა, თუნდაც განსაზღვრულ ვადებში, გარკვეულ ადგილებში და ლიცენზიებით, სასტიკი კონტროლითაც კი.

გამოიყენება ჯიხვის ხორცი, მაღალი ღირებულებისაა ტყავი. მისგან კერავენ ქურქებს, ზოგჯერ კი ფეხსაცმლის საპირეს ამზადებენ. კარგი ხარისხისაა ჯიხვის მატყლი და თივთიკი, რომლისგანაც შეიძლება მოიქსოვოს ნაირგვარი შალეული და წინდები.

ბარის პირობებს ჯიხვი ადვილად ეგუება, ეჩვევა ადამიანის სიახლოვეს და მალე თვინიერდება. ამგვარად შესაძლებელია იგი მოშინაურებულ და გამოყენებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო ცხოველის სახით. ჯიხვის რძე მაღალბარისხოვანია და მ—9 პროცენტამდე ცხიმს შეიცავს. თუმცა წველადობა აქვს ცოტა, მაგრამ ლაქტაციის პერიოდი 7—8 თვემდე გრძელდება.

ჯიხვი შინაურ თხას ეჯვარება და იძლევა ნაყოფიერი თაობის მომცემ ჰიბრიდს — ჯიხვთხას, რომელიც ზომა-წონით ბევრად ჭარბობს თავის ორივე მშობელს. ზრდასრული ვაცი ჯიხვთხის წონა 120—125 კილოგრამამდე აღწევს. აქვს კარგი ხარისხის რძე და ხორცი.

ცნობილია ჯიხვის ორი სახეობა — აღმოსავლეთკავკასიური (სურ. 4) და დასავლეთკავკასიური (სურ. 5). პირველი მათგანი გავრცელებულია მთა შხარას აღმოსავლეთით და საქართველოს მთამალაღზე ცხოვრობს მაწიმის ხეობამდე, ხოლო მეორე მოიპოვება იმავე შხარას დასავლეთით და რესპუბლიკის დასავლეთ საზღვრამდე აღწევს.

ჩვენს ნაშრომში ძირითადად მოთხრობილია აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვის შესახებ. მაგრამ დასავლეთკავკასიური ჯიხვის ბიოლოგია მისგან ბევრით არ განსხვავდება.

ნი ა მ ო რ ი

საქართველოს მთამალაღის დამამშვენებელია აგრეთვე ნიამორი, რომელსაც რესპუბლიკის ჩლიქოსნებს შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია, როგორც ფაუნის ძვირფას ობიექტს.

ნიამორისათვის დამახასიათებელია მოკლე, მსხვილი და



მკვრივკუნთოვანი სხეული, ზომიერად წაგრძელებული და დინ-
გის წვეროში ოდნავ მოზღავეებული თავი, გრძელი წვერი, მუხუღი
დი მოკლე და ბრტყელი აქვს, რომელიც პატარა ჯუნჯირთა
მთავრდება.

რქები უფითარდება ორივე სქების წარმომადგენლებს,
ოღონდ ვაცისა უფრო მეტი სიგრძითა და მასიურობით გამო-
ირჩევა. ვაცის რქის სიგრძე აღწევს 100—110 სანტიმეტ-
რამდე, ხოლო დედლისა — 20—30 სანტიმეტრამდე. რქა აღ-
მართულია ზევით და რამდენადმე უკანაა გადაღუნული.
რქას წინა მხარეზე აქვს რკალური ბორცვები, რომელთა რაო-
დენობა ცხოველის ასაკის შესაბამისად მატულობს. ბებერ ვა-



სურ. 6. ნიამორი.

ცებს ეს ბორცვები უფრო მკაფიოდ გამოხატული და დიდი შო-
შის აქვთ. ნიაშორის ციკანს რქები ამოსდის 2—3 თვის ასაკი-
დან.

სხეულის შეფერილობა შესამჩნევად განსხვავებულია შო-
შორის სქესთა შორის და ნაკლებად მერყეობს სეზონის მიხედ-
ვით. ზამთრობით ნიაშორის ზურგის მხარე მუქი მურაა და
რამდენადმე ქარცისფერი გადაჰკრავს. კისრიდან კუდამდე
გასდევს მოშავო-მურა ფერის ზოლი. ვაცს ასეთივე ზოლები
აქვს ყელზე, გვერდებზე და ბოქვენამდე აღწევს. ზაფხულო-
ბით ზურგის მხარე ქარცისფერ-მურა-მორუნოა. ზაფხულობით
ზურგის მხარე ქარცისფერ-მურაა ან ქარცისფერ-რუხი. მუც-
ლის მხარე მოთეთრო-მორუნოა.

საქართველოს ფარგლებში ნიაშორი მოიპოვება თუშეთში,
ხევსურეთსა და ბორჯონის ხეობაში ზოგ ადგილას, აქა-იქ
თრიალეთის ქედზე. ზოგი მცენიერი ეჭვს გამოთქვამს ამ უკა-
ნასკნელ პუნქტებში ნიაშორის არსებობის შესახებ.

ნიაშორი საქართველოს გარეშე გავრცელებულია საბერძნე-
თის არქიპელაგზე, მცირე აზიაში, წინა აზიაში, სომხეთში,
ირანში, კოპეტ-დაღზე, დიდ ბალხანებზე, სამხრეთ თურ-
ქმენეთში, დასავლეთ ინდოეთში.

არეალის ფარგლების ზოგ ადგილას ნიაშორი ვერტიკალუ-
რად ვრცელდება 4200 მეტრამდე ზღვის დონიდან.

ნიაშორი ძირითადად ალპურსა და სუბალპურ მდელოებზე
ცხოვრობს, მაგრამ ხშირად გვხვდება მთათა ფერდობების ტყე-
ებშიც.

ზოგი მკვლევარის გადმოცემით ნიაშორი ადვილად ძვრება
შვეულ კლდეებზე, გაბედულად ჩადის სრამებში, გადის საშიშ
ბილიკებზე და აკეთებს მეტად გრძელ ნახტომებს.

მთამალაღის სხვა ჩლიქოსნების მსგავსად, ნიაშორიც ახდენს
როგორც სეზონურ, ისე დღელამურ მიგრაციას. ზაფხულის მეტ
დროს იგი ატარებს მაღალ სარტყელში, ხოლო ზამთრობით,
როდესაც მისი საბინადრო ადგილები თოვლით იფარება, ეშვე-
ბა დაბლა და თავს აფარებს ტყეს, სადაც, ზოგ ადგილას მის
ქვედა საზღვრამდე აღწევს. დღის მეტ დროს იგი ატარებს ალ-
პურ მდელოებზე, ხოლო საღამო ხანს ჩადის დაბლა და აღწევს
ტყის ზედა ხაზამდე. დილას და საღამოს იგი ძოვს, ხოლო



დღის ცხელ დროს თავს აფარებს მყუდრო ადგილს და ეჩვენება ნებს. ნიაშორი ისეთ ადგილებში, სადაც მას სისტემატურად სდევნიან, დღისით თავშესაფარშია დამალული, ხოლო საძოვარზე გამოდის ღამე.

ნიაშორი იკვებება ბალახოვანი მცენარეებით, სიმშრალის მოყვარული ბუჩქების ფოთლებითა და ყლორტებით.

ნიაშორისათვის მარტილი აუცილებელია. ამიტომაცაა, რომ იგი ბინადრობს ისეთ ადგილებში, სადაც მარილის ბუნებრივი საბადოებია, ან ნიადაგში მარტილი საკმარისი რაოდენობითაა. იქ, სადაც ნიაშორს იცავენ, მისთვის აწყობენ სპეციალურ სამარილეებს, რომლებსაც სისტემატურად ამარაგებენ საჭირო რაოდენობის მარტილით.

გვიან შემოდგომაზე მიმდინარეობს ნიაშორის ატეხილობა, რაც იანვრამდე გრძელდება. მაკეობის ხანგრძლიობა აღწევს 5 თვემდე. შობს ერთ (იშვიათად 2 ან 3) ციკანს. ეს უკანასკნელი საკმაოდ სრულყოფილი იბადება და 0,5—1 საათის ასაკში უკვე დახტის დედის მახლობლად. დედალი ნიაშორის ზოგიერთი ეგზემპლარი სქესობრივად მწიფდება 6—7 თვის ასაკში, მაგრამ ჩვეულებრივ ეს პერიოდი ერთი წლისთავზე მოდის. სრულ ზრდას ნიაშორი ამთავრებს 4 წლის ასაკში. იგი ცოცხლობს 15 წლამდე.

ტყვეობის პირობებს ნიაშორი ადვილად ეგუება და მალე თვინიერდება, განსაკუთრებით ციკნები და ახალგაზრდა ინდივიდები, თუმცა ნადირის ინსტინქტებს მალე აღიდგენს ხოლმე.

თბილისის ზოოპარკში ხევესურეთიდან ჩამოიყვანეს 6—7 თვის ასაკის ციკანი. იგი იმდენად სუსტი იყო, რომ ფეხზე ძლივს დგებოდა, საკვებს ჭამდა ცოტას და უხალისოდ. ცხოველი, როგორც იტყვიან, სიკვდილის პირას იყო მისული. შემოწმებით დადგინდა, ისეთი დიდი რაოდენობით ეხია ციკანს ტილები და ტკიპები, რომ ტანი თითქმის მთლად დაფარული ჰქონდა პარაზიტებით. სასწრაფოდ მიღებული ზომების შედეგად ციკანი მალე განიკურნა ამ პარაზიტებისაგან, იგი ხალისიანად დახტოდა და კუნტრუშობდა. ამასთან ნიაშორი ძალიან „გაშინაურდა“: იგი მომგლელ მუშას ახტებოდა მხრებზე, ზურგზე, ზოგჯერ თავზე წამოასკუბებოდა. სახელის დამახებისას შორბოდა და ელაქუცებოდა, ეტმასნებოდა ფეხებზე; ცი-

კანი მიეწვია აგრეთვე ბაკის კედელზე შეხტომასა და ზედ სი-
არულს; როდესაც ასეთი სეირნობით გულს იკვებებდნენ, მხვე-
ბაკში გადახტებოდა ხოლმე.



აი, ერთხელ, ბაკის კედელზე „სეირნობისას“, ნიამორი დაფრთხა და იმის მაგიერ, რომ ბაკის ეზოში ჩამხტარიყო, გადახტა ეზოს გადაღმა — მდინარე ვერეს ნაპირის რიყზე და ამგვარად მოხვდა მისთვის უჩვეულო გარემოში. მას ცხოველების მომვლელები გამოედევნენ, გზა გადაუღობეს, მაგრამ ნიამორმა კამარა შეჰკრა და გეზი ვარაზის ხევისაკენ აიღო. ცხოველების მომვლელებს ბევრჯერ მიუახლოვდა სახელის დაძახებისას, მაგრამ დაჭერის საშუალება არ მისცა. ბოლოს ნიამორმა აირბინა ვარაზის ხედი და ორიოდ წუთში ქორტის (კუს) ტბასთან ამოყო თავი. ზოობარკის თანამშრომლები უკან გამოედევნენ. ნიამორმა თავი იგრძნო რა ბუნებრივ სტიქიაში, გათამამდა და გადახტა ხრამიდან ხრამში, კლდიდან კლდეზე და მალე მახლობელ ბუჩქნარში მიიმალა. ნიამორის უკან დევნა ზედმეტი და ამაო იყო. შემდეგ ზოობარკის თანამშრომლებმა რამდენჯერმე მოაწყვეს ექსპედიცია ნიამორის დასაჭერად, მაგრამ ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა.

ნიამორი ერთი თვის შემდეგ ვნახეთ მთაწმინდის პლატოზე. იგი სრულიადაც არ ჰგავდა იმ ციკანს, რომელიც რამდენიმე თვის წინათ ზოობარკში მოიყვანეს. ჩვენს წინ დანაკარდობდა ნადირი ცქვიტი და მარჯვე, რომელიც გვანცვიფრებდა თავისი სისწრაფითა და ნახტომებით: იგი ადვილად ხტებოდა საკმაოდ განიერ ხრამებზე, გადაახტებოდა ხოლმე ბუჩქებს თავზე. ერთი შეხედვით მოთვინიერებული და „გაშინაურებული“ ნიამორი სწრაფად გაგელურდა და თავისი ველური ინსტინქტები სწრაფად აღიდგინა.

იმ ადგილებში, სადაც ნიამორი დაბინავდა, მთის კალთების გამწვანების მიზნით ახლად იყო დარგული ხემცენარეულობა. ბუჩქები, რომელთა ნერგებსა და ნორჩ ყლორტებსაც იგი კორტნიდა, მნიშვნელოვნად დაზიანდა. ბოლოს, როდესაც ნიამორის ცოცხლად დაჭერის იმედი და შესაძლებლობა აღარ იყო, გადაწყდა მისი მოკვლა. ამგვარად, ნიამორს ეს ხანმოკლე თავისუფლება სიცოცხლის ფასად დაუჯდა.



ნიაშორი წარშოადგენს ჩვენი ფაუნის მშვენებას. შოიუენება მისი ხორცი, ტყავი, რქები. ამჟამად ნიაშორს მუურნეო ღირებულება არა აქვს სიმცირის გამო. ჩვენში, როგორც იტყვიან, ნიაშორის რაოდენობა თითებზე ჩამოითვლება. სასურველია ამ ცხოველის აკლიმატიზაცია და მოშენება ლავოდებისა და ბორჯომის ნაკრძალებში.

შართალია, ნიაშორზე ნადირობა სასტიკადაა აკრძალული, შაგრამ ამ კანონს ბრაკონიერი შაინც არღვევს.

ბუნებრივ მტერთაგან ნიაშორს სპობს შგელი, დათვი, ფოცხერი. პატარა ციკნებს თავს ესხმის მთის არწივი, ზოგჯერ ბატკანშერი (კრავიჭამია).

ა რ ჩ შ ი

საქართველოს შთამალლის ერთ-ერთ მშვენებათაგანს წარშოადგენს არჩვი, რომელიც ცნობილია ფსიტის სახელითაც.

გარეგნულად არჩვი მიენსგავსება თხასაც და ცხვარსაც, შაგრამ მათგან განსხვავდება რიგი არსებითი ნიშნებით. იგი ეკუთვნის ანტილოპების ქვეოჯახს.

არჩვისათვის დამახასიათებელია მოკლე და მასიური სხეული, მძლავრი და განიერი გულშეკრდის ყაფაზი, ღონიერი და სქელი ფესები, წინა კიდურები უკანაზე მოკლეა, რის გამოც სწორად დგომის დროს ცხოველი რამდენადმე ჩაცლული გვეჩვენება. შთამალალზე მცხოვრებ ცხოველებს შორის არჩვი, შეიძლება ითქვას, ყველაზე მარდი, ცქვიტი და მარჯვეა. ამასთან იგი თავის თანამოსახლეთა შორის სილამაზით, მოხდენილობით და სიმშენიერთაც გამოირჩევა. მისთვის დამახასიათებელია არაჩვეულებრივი ამტანობისა და გამძლეობის უნარი.

რქები აქვს ვაცსაც და დედალსაც. რქის სიგრძე 20—25 სანტიმეტრს აღწევს. ისინი წვრილი, ზემოთ აღმართული და წვეროსთან შესამჩნევად უკანაა გადაწეული და მოღუნული. ამის გამო არჩვის რქა ერთგვარ კაკვს მოგვაგონებს.

არჩვის სხეულის საერთო სიგრძე აღწევს 134 სანტიმეტრამდე, აქედან კუდი 12—14 სანტიმეტრია. სხეულის სიმაღლე



სურ. 7. არჩვი.

მინდაოსთან 80—85 სანტიმეტრია, ხოლო მენჯთან — 90—94 სანტიმეტრი. ზრდასრული ვაცის წონა აღწევს 40—45 კილოგრამამდე. დედლის ზომა-წონა შედარებით ნაკლებია.

სეზონის მიხედვით არჩვის სხეულის შეფერილობა ნაკლებ ცვალებადობს. იგი მუქი მურა-მომავო ფერისაა. მკერდი და მუცლის მხარე ღია მურა ფერისაა. თავის მარჯვნივ და მარცხნივ თითო მოშავო-მურა ზოლი გასდევს. თითქმის არ იცვლება არჩვის შეფერილობა ასაკის მიხედვითაც.

საქართველოს ფარგლებში არჩვი გავრცელებულია კავკასიონზე აფხაზეთის დასავლეთი საზღვრიდან მაწიმის ხეობამდე.

ყველგან იგი გავრცელებულია ალაგ-ალაგ, რის შედეგადაც მისი არეალი კავკასიონზე ხალხბრევია. უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდება არჩვი ქართლ-იმერეთის ქედზე, ალაგ-ალაგ გური-აჭარის ქედზე (უმეტესად ბინადრობს ბახმაროს მიდამოებში), ადიგენის რაიონში (აბასთუმნის, სალაშქროს, კიკიბოს მთებზე და სსვ.), თრიალეთის ქედზე, კერძოდ, ფარაგნის მთაზე. არჩვი დაცულია ლავოდენისა და ბორჯომის ნაკრძალებში.

საქართველოს გარეშე არჩვი მოიპოვება სომხეთში, აზერბაიჯანში, დაღესტანში, ჩრდილო ოსეთში, ყაბარდოსა და ბალყარეთში, მცირე აზიაში, ევროპის მთიანეთში (პირენეებზე, ალპებზე, აპენინებზე, ბალკანებზე, კარპატებზე).

საკმაოდ მერყევია არჩვის ვერტიკალური გავრცელება. იგი ბინადრობს ზღვის დონიდან 450 მეტრიდან 4000 მეტრამდე. არეალის ზოგ ადგილას აღწევს 4750 მეტრამდეც კი.

არჩვის ძირითად საცხოვრებელს ალპური და სუბალპური მდელოები წარმოადგენს. იგი ხშირად გვხვდება აგრეთვე ტყეშიც, მეტწილად ზამთრობით, როდესაც მისი ძირითადი ადგილსამყოფელი — ალპური და სუბალპური მდელოები — ღრმა თოვლითაა დაფარული, სადაც საკვების მოპოვება შეუძლებელი ხდება.

დამახასიათებელია არჩვისათვის სეზონური და დღელამური მიგრაციები. ზაფხულობით ეს ცხოველი ძირითადად ალპურსა და სუბალპურ მდელოებზე ცხოვრობს, ხოლო ზამთრობით ტყეს აფარებს თავს. ზაფხულობით არჩვი კავკასიონის სამხრეთი კალთებიდან ჩრდილოეთ კალთებზე გადადის და პირიქით. დღისით არჩვი ალპური ზონის ზედა სარტყელში ადის და იქ აფარებს თავს და ემალება აბეზარ მწერებსა და მტაცებელ ცხოველებს. ღამით იგი ეშვება დაბლა და ძოვს სუბალპურ მდელოებზე, ტყისპირას ან ტყეში. ზამთრობით, როდესაც არჩვი ტყეში ბინადრობს, დღელამურ მიგრაციას არ ეწევა.

არჩვის საკვებია ბალახი, ყლორტები, ფოთლები, ზოგჯერ ჭამს ხილს, კენკრას, ხის ქერქს, მცენარეთა წიწვებს.

ისევე როგორც მრავალი ჩლიქოსნისათვის, არჩვისთვისაც აუცილებელია მარილი. ამიტომაცაა, რომ იგი მეტწილად ეტანება ისეთ ადგილებს, სადაც მარილის ბუნებრივი საბადოებია.

ნაკრძალებში, სადაც წარმოებს ამ ცხოველების დაცვა, არჩევს საგანგებო სამართლებს უწყობენ.

ოქტომბრის მეორე ნახევრიდან დეკემბრის დამლევამდე მიმდინარეობს არჩვის ხურაობა. მაკეობის ხანგრძლივობა აღწევს 6 თვემდე. შობს ერთ (ზოგჯერ ორ) ციკანს. ზოგი ცნობით არჩვი ერთ ჯერზე შობს სამ ციკანს, რაც, ჩვენი აზრით, გამონაკლისი შემთხვევა უნდა იყოს.

არჩვის ახლად დაბადებული ციკანი უსუსურია. იგი პირველი სამი დღის განმავლობაში ნაკლებად მოძრაობს და მეტდროს ფარულ ადგილას წევს. შემდეგ კი იგი მარჯვედ დასდევს დედას და სხარტად ხტება მცირე სივანისა და სიმალის დაბრკოლებებზე. ციკანი უჩვეულო სიკვების ჭამას იწყებს 6—7 დღის ასაკიდან, თუმცა ბუბუს წოვს 6 თვემდე. 2,5 თვის ასაკში ციკანს ამოსდის რქები. სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 2,5 წლის ასაკში, ხოლო 3 წლის სრულ ზრდას ამთავრებს. შემოწმებული ცნობების მიხედვით არჩვი ცოცხლობს 25 წლამდე.

ტყვეობაში მოხვედრილი არჩვის ციკნები ადვილად ეგუება ხელოვნურ პირობებს და მალე თვინიერდება. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ტყვეობაში არჩვი დიდ ხანს ვერ ცოცხლობს და მალე იღუპება, განსაკუთრებით კი ფილტვების დაავადებით, ამის არა ერთი და ორი შემთხვევაა აღნიშნული თბილისის ზოოპარკში.

არჩეს საკმაოდ ბევრი მტერი ჰყავს. მას ანადგურებს მგელი, ფოცხვერი. ზოგჯერ უსუსურ ციკანს თავს ესხმის მთის არწივი, ბატანძერი და სხვ. ბევრი არჩვი იღუპება ღრმა თოვლში — ეფლობა შიგ და შიმშილისა და სიცივისაგან მალე კედება. არჩეს მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ბრაკონიერი, განსაკუთრებით კი იქ, სადაც ამ ცხოველის დაცვისადმი ყურადღება მოდუნებულია.

ჩვენი ქვეყნის სანადირო-სარეწაო ცხოველებს შორის არჩეს მნიშვნელოვანი ადგილი უაქვია. მისი საერთო რაოდენობა უკანასკნელ ხანამდე ძლიერ იყო შემცირებული, მაგრამ მიღებული კომიტი ოქონისძიებების შიოთხად შესაძლებელი გახდა მისი მომრავლება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცხოველის რაოდენობრივი მატება მეტად ნელა მიმდინარეობს. ამჟამად

არჩვი ბევრგან, განსაკუთრებით კი ნაკრძალების ფარგლებში, საკმაოდ მრავლადაა.

ქ უ რ ც ი კ ი

საქართველოს ფაუნის ერთ-ერთი ძვირფასი წარმომადგენელთაგანია ქურციკი, რომელიც ცნობილია ჯეირნის სახელითაც. ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში მცხოვრებ ჩლიქოსნებს შორის ქურციკი ყველაზე პატარაა, მაგრამ სილამაზითა და სიმკვირცხლით იგი ყველას ჭარბობს.

დამახასიათებელია ქურციკისათვის პატარა თავი, მოკლე ყურები, შეფარდებით მაღალი, წვრილი და ნატიფი ფეხები, რომლებიც საკმაოდ მკვრივი და მძლავრკუნთოვანია, მოკლე კუდი, რომლის დაბოლოება შავი ან მუქი მურაა, თვალები დიდი ზომისა და შავი ფერის აქვს. რქები მხოლოდ ვაცს უვითარდება, აღმართულია ზევით და რამდენადმე უკანაა გადაღუნული. რქას აქვს რგოლური ღარები და ხვეულები. ამ ღარების მიხედვით ზოგიერთი მეცნიერი ცდილობს ქურციკის ასაკის დადგენას, რაც ხშირ შემთხვევაში არ მართლდება. იშვიათი გამონაკლისის სახით რქები უვითარდება დედალსაც.

ქურციკის სხეულის საერთო სიგრძე 90—115 სანტიმეტრამდეა. მისი სიმაღლე მინდაოში აღწევს 70—75 სანტიმეტრამდე წონა მერყეობს 16—22 კილოგრამამდე, თუნცა ცნობილია იშვიათი ვეზემბლარები, რომლებიც 33 კილოგრამს იწონიდნენ. დედალი უფრო ნაკლები ზომა-წონისაა, ვიდრე ვაცი.

სეზონურად მერყეობს ქურციკის სხეულის შეფერილობა, თუმცა მეტად უმნიშვნელოდ. ზაფხულობით ამ ცხოველის ზურგის მხარე მოქარცისფრო მურაა, ხოლო მუცლის მხარე — მოთეთრო ან თეთრი. დინგის წეროდან შუბლამდე მარჯვნივ და მარცხნივ გასდევს თითო შავი ზოლი. საყურადღებოა, რომ ხანდაზმულ ქურციკს ეს ზოლები ან სრულიად აღარ ემჩნევა, ან უმნიშვნელოდ. ზამთრობით ქურციკის შეფერილობა რამდენადმე ერთფეროვანი მონაცრისფრო-მოთეთროა.

საქართველოს ტერიტორიაზე ქურციკის არეალი, წარსულთან შედარებით, შემცირებულია. ამჟამად კი შეიძლება ითქვას, რომ ეს არეალი სულაც აღარ არსებობს. ეს ცხოველი ახლო



სურ. 8. ქურციკი.

წარსულში ფართოდ იყო გავრცელებული ყარაიის ველზე, რასაც ადასტურებს გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ვახუშტი. იგი წერს: „არს ველი დიდი ყარაიისა, სავსე ქურციკითა, რომელსა მოინადირებენ მეფენი წლითი წლად“. მართლაც, ასეთმა უთავბოლო და დაუზოგველმა ნადირობამ ბოლო მოუღო ამ ერთ დროს ფართოდ გავრცელებულ ცხოველს. საყურადღებოა, რომ საქართველოს მუზეუმის ზოოლოგიურ განყოფილებაში დაცულია ქურციკის კოლექციები (ქალა, რქები და სხვ.), რომლებიც მოპოვებულია ყარაიის ველზე და ამიერკავკასიაში შეგროვილ ექსპონატთა შორის ყველაზე დიდი ზომისაა. ქურციკი გვხვდებოდა შირაქში, ელდარში, გარეჯის უდაბნოში, სამ-



გორის ველზე, აღწევდა ვაზიანის და თბილისის მიდამოებამდე, დასავლეთით ვრცელდებოდა ავჭალამდე. სამწუხაროდ, წვენი ფაუნის ეს ძვირფასი წარმომადგენელი ამჟამად საქართველოში აღარ გვხვდება. შესაძლებელია მისი თითო-ორილად გზემპლარი ჯერ კიდევ შემორჩენილია შირაქის ველის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, აზერბაიჯანის საზღვართან, და, აგრეთვე, ელდარშიც. თუმცა ყოველივე ეს მეტად საექვოა.

საქართველოს გარეშე ქურციკი მოიპოვება აზერბაიჯანში, წინა, შუა და ცენტრალურ აზიაში, ყაზახეთში, ირანში, ავღანეთში, ჯუნგარიაში, გობში, ტიბეტის ჩრდილო ნაწილში, ალამანში, ორდოსში.

ვერტიკალურად ქურციკი ვრცელდება 600—1000 მეტრამდე ზღვის დონიდან. თუმცა არეალის ფარგლებში ზოგან იგი აღწევს 2000—3500 მეტრამდე ზღვის დონიდან.

ქურციკი ტრამალებისა და ნახევრად უდაბნო ადგილების ბინადარია. მისი სხეულის აკებულება და ცხოვრების ნირი შეხამებულია და შეგუებული შემოადინიშნული საცხოვრებელი პირობებისადმი.

შემოდგომის დამლევს, ზოგჯერ კი დეკემბერში, მიმდინარეობს ქურციკის ატენილობა. მაკეობა გრძელდება 5,5—6 თვემდე. შობს ერთ (იშვიათად ორ) ნაშიერს. ახლად დაბადებული ნაშიერი უსუსურია და პირველი სამი-ოთხი დღის განმავლობაში, სანამ რამდენადმე მოლონიერდებოდეს და დედის უკან სიარულს შეძლებდეს, ერთსა და იმავე ადგილას რჩება. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამის შემდეგაც 10—15 დღის განმავლობაში ქურციკის ნაშიერი მეტ დროს წოლაში ატარებს. ნორჩი ქურციკი 3—4 თვის განმავლობაში დედის რძით იკვებება, მაგრამ 7—10 დღის ასაკიდან იგი იწყებს უხეში საკვების (ბალახის) ჭამას. ქურციკის ნაშიერი საკმაოდ სწრაფად იზრდება, უკვე 1,5 წლის ასაკში სქესობრივად მწიფდება და სრულ ზრდასაც ამთავრებს. ცოცხლობს 12 წლამდე.

ქურციკის სხვადასხვა ინდივიდი ტყვეობის პირობებს განსხვავებულად ეგუება. ზოგი ადვილად თვინიერდება და ადამიანის სიახლოვეს არ გაურბის, ზოლო ზოგი, მიუხედავად



გულმოდგინე მოვლა-პატრონობისა, მაინც ვერ ეგუება **ქართული**
 ანს და ყოველთვის ველურ ინსტინქტებს ინარჩუნებს **მედიკალი**

ქურციკს ბევრი მტერი ჰყავს. მას ანადგურებს მგელი, ტურა, მელა, ზოგჯერ ნორჩ ნაწიერს თავს ესხმის არწივი, ზარნაშო. მაგრამ ქურციკის ყველაზე დაუძინებელი მტერი და გამანადგურებელია ბრაკონიერი, რომლის წყალობითაც ეს ძვირფასი ცხოველი საქართველოს ფარგლებში გადაშენდა.

სასურველია ქურციკის რეაკლიმატიზაცია მის ძველ ადგილსამყოფელებში (ზოგიერთ უბანში მაინც). იქნებ სპეციალური ნაკრძალიც კი შეიქმნას მის მოსამრავლებლად.

ДЖАНАШВИЛИ АРЧИЛ ГАВРИЛОВИЧ

Копытные Грузии

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»,

Тбилиси, Марджанишвили, 5.

1977

რედაქტორი ლ. ჭულელი
მხატვრული რედაქტორი კ. ტუხაშვილი
მხატვარი ვ. ბერძენიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვ. ჭიჭინაძე
კორექტორი ზ. გვიმრაძე
გამომწვეები გ. ბენიძე

გადაეცა წარმოებას 2/11-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად
27/111-77 წ. საბეჭდი ქაღალდი № 1. 84×108¹/₁₆. პირობითი
ნაბეჭდი თაბაში 2,1. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაში 1,64.
უე 01051. ტირაჟი 6000. შეკვ. № 156.
ფასი 6 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5

Комбинат печати Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

201/19

48357

